10602
საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

შაბათი, 21 სექტემბერი, 1940 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო № 26 (149) ფასი 30 კაპ.

ლიტერატურული ახალგაზრდობა

ახალგაზრდა ლიტერატურული ძალების ზრდისათვის საბჭოთა ქვეყანაში იდეალური პირობები არსებობს. პარტია, ხელისუფლება, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა დიდ მზრუნველობას იჩენს ახალგაზრდა ლიტერატურული კადრების პოლიტიკური, კულტურული, შემოქმედებითი განვითარებისათვის. სწორედ ამ ყურადღებისა და მზრუნველობის შედეგია, რომ რევოლუციის წლების მანძილზე საბჭოთა პოეზიაში, პროზაში, დრამატურგიაში, კრიტიკაში შემოვიდნენ ახალგაზრდა ძალები, რომლებიც დიდად უწყობენ ხელს ჩვენი ლიტერატურის წინსვლასა და ამაღლებას.

ახალგაზრდა საბჭოთა მწერლების ნაწარმოებებმა ამ უკანასკნელ ხანში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. ბევრი მათგანი უკვე წიგნის ავტორიცაა. ამ ახალგაზრდა ავტორების მრავალი ნაწარმოები საყურადღებოა თემატიურად, მხატვრული გააზრებით.

ახალგაზრდა მწერლები საბჭოთა ლიტერატურის საიმედო მომავალი ძალაა. ამიტომ აუცილებელია ნამდვილად, ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ ამ ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, მის ლიტერატურულ მუშაობას. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენ მცირედათაც ვერ ვიყენებთ იმ დიდ შესაძლებლობებს, რომლებიც გაგვაჩნია ლიტერატურული ახალგაზრდობის შემოქმედებითი მუშაობის სწორად წარმართვისათვის.

ახალგაზრდა მწერლებისადმი დაუშვებელ გულგრილობას იჩენს ჩვენი კრიტიკა. დღემდე ჩვენ არ გვაქვს არც ერთი ახალგაზრდა მწერლის ლიტერატურული მუშაობის საფუძვლიანი განხილვა, რომელიც დაგვეხმარებოდეს ნათლად გავითვალისწინოთ ამა თუ იმ ახალგაზრდა მწერლის მუშაობის შინაარსი და ხასიათი, მისი შემოქმედებითი სახე, მისი ზრდის დამაბრკოლებელი მიზეზები. ეს კი საჭიროა უპირველეს ყოვლისა იმისათვის, რომ გავიგოთ, გავითვალისწინოთ თუ საით მიემართება ამა თუ იმ ახალგაზრდის ლიტერატურული განვითარება.

არ არის დასამალი ის გარემოება, რომ ახალგაზრდა მწერლების მუშაობისადმი სერიოზული და სისტემატური ყურადღების უქონლობის შედეგად ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებით მუშაობაში და ყოფაში გამომჟღავნდა ისეთი ტენდენციები, რომლებიც უცხოა, მიუღებელია საბჭოთა ლიტერატურისათვის. უპირველეს ყოვლისა ეს არის ახალგაზრდა მწერლების მიერ ნაადრევ პროფესიონალ-მწერლებად გახდომის მისწრაფება, მათ მიერ ცხოვრების უცოდინარობა, დაბალი პოლიტიკურ-თეორეტიული დონე. მართებულად სწერდა ამ ცოტა ხნის წინად „ლიტერატურნაია გაზეტა“: „ბევრი ახალგაზრდა მეტის-მეტად ადრე პროფესიონალდება. ერთ-ორ მოუმწიფებელ ნაწარმოებს რომ დასწერს თავის პროფესიას მიატოვებს (თუ კი გააჩნია ეს პროფესია) და გასაოცარი აჩქარებით აცხადებს თავს პროფესიონალურ მწერლად. წარსულის რამდენი უდიდესი მწერალი სანამ პროფესიონალი გახდებოდა ლიტერატურის შრომას სხვა პროფესიებთან და მოსამსახურეობასთან ათავსებდა... ბევრი მათგანი, იყო რა ლიტერატორი, ამავე დროს თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ეწეოდა სხვა მრავალმხრივ მოღვაწეობასაც. და ეს არა თუ ხელს არ უშლიდა, მათ შემოქმედებას, არამედ ეხმარებოდა კიდეც. ეს ორგანიულად აკავშირებდა მათ წრესთან, აძლევდა მათ უდიდეს მასალას დაკვირვებისათვის და უაღრესად ფართო განზოგადოებისათვის“. ისეთი მწერლის მაგალითად, რომელიც ორგანიულად ათავსებდა ერთმანეთთან სამწერლო მუშაობას და სხვა პროფესიას საკმარისია დავასახელოთ ქართული ლიტერატურის ისტორიიდან ილია ჭავჭავაძე, რომ ყოველივე ნათელი გახდეს. ილია ჭავჭავაძე არ იყო ჩაკეტილი ვიწრო ლიტერატურულ წრეში, იგი თავის შესანიშნავ ლიტერატურულ მუშაობას უშუალოდ აკავშირებდა მრავალფეროვან საზოგადოებრივ მუშაობასთან.

სამწუხაროდ ბევრი ჩვენი ახალგაზრდა მწერალი ამ გარემოებას ივიწყებს. ამის შედეგია ხშირად ავადმყოფური მოვლენები, ბოჰემური განწყობილებები მათ შემოქმედებასა და ყოფაში. ასეთი ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ მწერალთა სასახლეში ყოველდღიურად ტრიალში, უსაქმურობაში, ბოჰემურ მოქმედებაში, უხეირო ეპიგრამების თხზვაში გაიზრდება და განვითარდება მათი შემოქმედებითი ნიჭი. ეს მავნე ტენდენციაა, რომელსაც გადამჭრელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

ახალგაზრდა ლიტერატურული ძალების შემოქმედებითი ზრდის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მათი მჭიდრო კავშირი ცხოვრებასთან, სინამდვილესთან, სოციალისტურ მშენებლობასთან, განუწყვეტელი ზრუნვა პოლიტიკურ-თეორეტიული დონის ამაღლებისათვის. ახალგაზრდა მწერლისათვის აუცილებელია მეორე პროფესია. ამის გარეშე ისინი გაიყინებიან, ჩამორჩებიან ცხოვრებას და შეიძლება ბევრი მათგანი კიდეც ამოვარდეს ლიტერატურული განვითარების პროცესიდან.

ლიტერატურულ ახალგაზრდობასთან, ღრმა, საფუძვლიანი და სისტემატური პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა უნდა აწარმოოს მწერალთა კავშირთან არსებულმა პირველადმა პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციამ. პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციამ უნდა იცოდეს როგორ მუშაობს ესა თუ ის ახალგაზრდა მწერალი თავისი პოლიტიკურ-თეორიული დონის ამაღლებაზე, როგორ სწავლობს იგი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების—**მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის** ნაწერებს. პარტიულ-კომკავშირულ კრებებზე მოსმენილი უნდა იქნეს ხშირად მოხსენებები ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებითი მუშაობის შესახებ და დასახულ იქნას სათანადო პრაქტიკული ღონისძიებები.

ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებითი წინსვლის საქმე დიდათ აძლიერებს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ამ ახალგაზრდა მწერლებისათვის სწორი ხელმძღვანელობის გაწევისა და მისი აღზრდის ძირითად გადამწყვეტ პირობას კი წარმოადგენს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის ცოცხალი, ყოველდღიური კავშირი ახალგაზრდა მწერლებთან. პრეზიდიუმმა სისტემატურად უნდა მოისმინოს მოხსენებები ახალგაზრდებთან მუშაობის საკითხებზე, ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებითს მუშაობაზე.

ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობა დიდი საკითხია. ახალგაზრდობა ჩვენი ლიტერატურის მომავალია. ამიტომ საჭიროა სერიოზული და საფუძვლიანი მუშაობა ვაწარმოოთ მათი ლიტერატურული მუშაობის სწორად წარმართვისათვის, მათი შემოქმედებითი ზრდისათვის.

სამიჯნურო

ალიო მაშაშვილი

1.

ჰემ იხარა, იხარა! ჯერ ყლორტები იყარა,
მერე ყვავილთ პეპლები თავზე გადაიყარა!

ვაშლის თეთრმა ასულმა კვლავ იხარა, იხარა,
აილეწა, ათქვირდა, ყელი გადაიხარა!

მომაგონდა მიჯნური, სხვაგან არის, იქ არა,
ჩვენი ბაღის ბილიკი იქცა ნაბილიკარად!

ვეძიე და მოვნახე, ახლოს არ გამიკარა,
როგორც ელვის მახვილი გესლი გულს გამიყარა!

ცეცხლი არ გამინელა, დარდი არ გამიქარა,
მიჯნურს ვეძებ მეჯნუნი, დავდივარ კარიკარა!

2.

ქალაქიდან გამოვედით, მიჰქრის ავტომანქანა,
ალბად შენმა სიყვარულმა აქეთ გამომაქანა!

წინ ურმების ქარავანი თივებს მიათივთივებს,
მტკვარი თბილის—ქალაქისკენ ტივებს მიატივტივებს!

გავიარეთ „ბებრის ციხე“, საგურამო იწყება,
გზა გათავდეს მალე, თორემ შეგვაწუხა სიცხემ!

ამას ჰქვია „ჯოჯოხეთი“, ხედავ რა ნაპრალია?
შიგ სატანაც რომ ჩავარდეს, ისიც შესაბრალია!

გაღმა ქართლის ბაღებია, და პირდაპირ—დუშეთი,
შემდეგ—ვაჟას ფშავეთია, ხევსურეთი, თუშეთი!

რა წარმტაცი ბუნებაა, რა ლამაზი ქვეყანა,
შენი ქერა მეგობარი ნეტავ წამოგეყვანა!

მალე მარჯვნივ გადავუხვევთ, გადავიართ ხეობას,
როგორ მიაქვს არემარე ამ არაგვის ღრეობას?

წყალი თითქოს პატარაა, თუ გაჯავრდა კიდეცა, —
ვაი მაშინ მაგის მომსწრეს, მაგის გადამკიდესა?!

ვით მრისხანე მემამულე შესძრავს კიდით-კიდესა,
თან წაიღებს ნახნავ-ნათესს, თან წაიღებს ხიდესაც!

აი, ძეგლი!—წიწამურის მწუხრით შემოსილია,
აქ დაეცა ბრძენი მუხა, აქ მოგვიკლეს ილია!

აი, სახლიც! კარმიდამო მთლად ქცეულა ვენახად,
ეს ილიას მამულია, შენ რომ გსურდა გენახა!

მე კი ამ დროს, ამ სიცხეში, ამ თავქარა მანქანამ
ყველაფერი დამავიწყა, შენთან გამომაქანა!

მწერალთა კავშირის უმნიშვნელოვანესი ამოცანები

საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით კავშირიდან გარიცხულ იქნა მწერალი ავდეენკო, როგორც თავის ნაწარმოებებში ანტისაბჭოთა შეხედულებების გამტარებელი ადამიანი.

თავისი ნაწარმოებების ფრიად დაბალი მხატვრული დონით ეს არავითარი მწერალი არაა, გაბერილ-გაზვიადებული ყველა ჯურის მფარველთაგან „პროლეტარული წარმოშობის“ ხარჯზე და საბჭოთა ლიტერატურის საზარალოდ. მით უმეტეს ამ ავტორის მთელი რიგი ე. წ. ნაწარმოებები („ბედი“, „სახელმწიფო — ეს მე ვარ“, „მილიარდერი ქალი“, „ცხოვრების კანონი“) საჭიროებენ გარჩევას.

ავტორი მათში ქადაგებს უსაზიზღრეს ბურჟუაზიულ შეხედულებებსა და ჩვევებს სიყვარულისა და ოჯახის ურთიერთობაში; ქადაგებს მორალურ აღვირახსნილობას, უხეშ ფიზიოლოგიზმს, ქალისადმი ხეპრულ დამოკიდებულებას. ზოგს შემთხვევაში ამ მხარეებს იგი მიაწერს ჩვენს საბჭოთა ახალგაზრდობას და ცილს სწამებს მას. სხვა შემთხვევებში იგი მოსავს ადამიანებს თავაშვებულობის მტრული „რომანტიკით“.

რა საერთო უნდა ჰქონდეს ამ დამპალ ქადაგებას კომუნისტურ მორალთან? რა საერთო უნდა ჰქონდეთ ამ შეხედულებებს ჭეშმარიტ პოეზიასთან, რომელიც საუკუნეთა მანძილზე უმღეროდა სიყვარულს, როგორც ღრმა და ძლიერ გრძნობას, რომელიც აფრთოვანებდა ადამიანებს უმაღლესი მოღვაწეობისათვის?

ავტორი ამ შეხედულებებს ქადაგებს იმიტომ, რომ კომუნიზმის ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ ავტორის სიმპატიები ეკუთვნის ნაბოლარებსა და გადაშენების გზაზე მყოფთ, კაპიტალიზმის ნაშიერებს. დაამციროს, გააშაოს საბჭოთა ადამიანები, მოახდინოს მტრული ბანაკის „გმირების“ და მათი საზიზღარი მორალის რომანტიზირება — აი ავდეენკოს, უკაცრავად პასუხია, მთელი შემოქმედებითი საქმიანობა.

ეს საქმიანობა გამოაშკარავებულია და გაკიცხული საბჭოთა საზოგადოებრიობისა და პრესის მიერ. მაგრამ ჩვენს ლიტერატურულს ცხოვრებაში არსებობენ ზოგიერთი მოვლენები, რომელნიც აადვილებენ მტრულ გავლენათა შესაძლებლობას ლიტერატურულ ახალგაზრდობაზე. აქედან უნდა გამოვიტანოთ სერიოზული დასკვნები.

ჩვენში სამი ათასზე მეტი მწერალია, რომლებიც ორგანიზებულნი არიან მწერალთა კავშირში და სწერენ ორმოცდაათ ენაზე. მათი საგრძნობი რაოდენობა — არიან ნიჭიერი ადამიანები, პატიოსანი მშრომელი ლიტერატორები. ჩვენი საბჭოთა მრავალ-ეროვნებიანი ლიტერატურა მათ მიერ იქმნება. მათ შორის არიან ისეთნიც, რომელთაც იცნობს მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი ხალხი. მრავალსა ჰყავს მკითხველთა ფართო წრე.

მწერალთა კავშირი ასაკობრივი შემადგენლობით—ახალგაზრდა კავშირია, და იზრდება საბჭოთა ინტელიგენციის წრიდან გამოსული ნიჭიერი ახალგაზრდობის ხარჯზე.

მწერალთა კავშირის მთავარი ამოცანაა—ამ კადრების, განსაკუთრებით ახალგაზრდათა—იდეურ-მხატვრული აღზრდა, მათი აღზრდა კომუნიზმის სულისკვეთებით. ამ ამოცანას მწერალთა კავშირი ცუდად ასრულებს, ხოლო იქ, სადაც ცუდადაა დაყენებული კომუნისტური აღზრდა, იქ ყოველთვის მოიპოვება ნოყიერი ნიადაგი კაპიტალისტური გადმონაშთებისა და მტრული გავლენებისათვის.

ცნობილია, რომ მატერიალურ-საყოფაცხოვრებო ხასიათის საკითხები, ადმინისტრატიულ-ორგანიზაციული საკითხები მწერალთა კავშირის მუშაობაში კვლავინდებურად სჭარბობენ ლიტერატურულ, შემოქმედებით საკითხებს, ლიტერატორთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხებს. მეორეს მხრივ, მუშაობის პრაქტიკა ისეთი ორგანიზაციებისა, როგორიცაა ლიტერატურული ფონდი და საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველო, რომლებიც განაგებენ მწერალთა ცხოვრების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მხარეს, ისეთია, რომ ყველა ჯურის წამგლეჯები და მუქთახორანი ღებულობენ „იოლი“, უშრომლად ცხოვრების შესაძლებლობას, ჰქმნიან რა კეთილშობილი ლიტერატურული საქმის გარშემო მუქთადცხოვრებისა და უსაქმურობის ატმოსფერას.

კომუნისტური აღზრდის სისუსტე და იოლი შესაძლებლობა წამგლეჯისა და მუქთადმჭამელისათვის მიიღოს „დახმარება“ ანდა ავანსი არარსებული სამუშაოსათვის, ე. ი. იცხოვროს უშრომლად — აი ნიადაგი ნიჰილიზმისა და ბოჰემური ჩვევებისათვის, აი ნიადაგი ავდეენკოს ტიპის ტიკინისებურ „ზეკაცუნათათვის“.

არა, ასეთი როდია სოციალისტური მწერლის მორალური სახე! ესაა ხალხური ცხოვრების მწერალი, მწერალი გულწრფელი და განათლებული, მწერალი—მასწავლებელი და ბეჯითი და ცნობისმოყვარე მოსწავლე, მწერალი, რომელიც თავისი კალმით უანგაროდ ემსახურება სამშობლოსა და ხალხს, მწერალი — მშრომელი და თავდაბალი ადამიანი, რომელმაც იცის მხატვრული სიტყვის ფასი და სიყვარულით მუშაობს მასზე.

სოციალისტური ცხოვრება და მსოფლიოში ყველაზე მოწინავე თეორია მარქს-ლენინ-სტალინისა ნებას აძლევენ საბჭოთა მწერალს იყოს უაღრესად გულწრფელი და ობიექტური ყველა მწერალთაგან, რომელნიც კი ყოფილან მანამდე. მაგრამ მისი შემოქმედების ობიექტურობა—ფოტოგრაფიული აპარატის ობიექტურობა კი არაა. საბჭოთა ლიტერატორს მგზნებარედ უყვარს თავისი სოციალისტური სამშობლო, თავისი ხალხი, მას უყვარს ადამიანები, რომლებიც დაუღალავი და გმირული შრომით ქმნიან თავიანთი სოციალისტური სამშობლოს დიდებასა და ძლიერებას. და მას სძულს მისი მტრები — მთელი მშრომელი კაცობრიობის მტრები.

არიან კიდევ — და არა მარტო უცხო ადამიანთა შორის, არამედ წვრილფეხა ადამიანთა შორისაც — ლიტერატორები, რომლებიც თავიანთი სახის მსგავსად მოსაწყენებად, უფერულებად, ცალმხრივებად, გულუბრყვილო უბირებად გვიჩვენებენ ჩვენს ადამიანებს. არც თუ ისე გვანან ისინი ადამიანებს, რომლებიც გაფრინდნენ ჩრდილო პოლუსზე, რომლებმაც თითქმის ორასი მილიონი ადამიანი გაათავისუფლეს მრავალსაუკუნოვანი სილატაკისაგან, რომელთაც ერთი წლის განმავლობაში ოცდასამი მილიონი ადამიანი აზიარეს სოციალისტურ ცხოვრებას, გაათავისუფლეს რა ისინი კაპიტალიზმის ჩაგვრისაგან.

საბჭოთა მწერალმა იცის, თუ როგორ ძნელი და სისხლისმღვრელი იყო და იქნება ბრძოლა კომუნიზმისათვის. საბჭოთა მწერლისათვის არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს შეამციროს თავის ნაწარმოებში მტრის ძალა, გამოიყვანოს ის არარაობად, შეთხუპნოს იგი ერთი ფერით. ამით ვერ ავამაღლებთ კომუნიზმის გამარჯვებებს, არამედ უფრო ჩქარა პირუკუ, შედეგებს მივიღებთ. კომუნიზმის ადამიანთა, მათი იდეების, მათი მოღვაწეობის, მათი მორალური სახის, მათი შრომისა და ბრძოლის ნაყოფთა გულწრფელად, სისხლჭარბად ჩვენება—აი რა დაუმტკიცებს მკითხველს კომუნიზმის უპირატესობას კაპიტალიზმზე და თუ რატომ ამარცხებენ თავიანთ მტრებს კომუნიზმის ადამიანები.

ასეთი მწერალი უნდა აღზარდოს მწერალთა კავშირმა.

ნამდვილმა ლიტერატორმა იცის სიტყვის ფასი, უყვარს იგი, ამახვილებს მას. სისულელეა იმის წარმოდგენა, თითქოს ფორმისადმი სიყვარული იყოს ფორმალიზმი ანდა „სნობიზმი“. დაუმთავრებელი მხატვრული ფორმის გარეშე ვერავითარი, უაღრესად გონივრული და რევოლუციური იდეები და მოსაზრებანი ვერ მოგვცემენ მხატვრულ ნაწარმოებს, ისინი დარჩებიან მხოლოდ კარგ განზრახვათა საბუთებად.

ამიტომ ბრძოლა მაღალი მხატვრული ხარისხისათვის, ოსტატობისათვის ჩვენს პირობებში წარმოადგენს საბჭოთა ლიტერატორების კომუნისტურად აღზრდის ერთერთ მხარეს.

იმისათვის, რომ საბჭოთა ლიტერატორის აღზრდის საქმე წარმატებით წარიმართოს, საჭიროა ზოგიერთი პირობები:

1. უნდა აღიკვეთოს კვალიფიციურ ლიტერატორთა ცნობილი ნაწილის შორის გავრცელებული ამქრული კარჩაკეტილობა. ლიტერატურულ წრეში ჯერ კიდევ არსებობს ისეთი დამოკიდებულება ახალგაზრდა მწერლისადმი, რომ მან თითქოს, თხუთმეტიოდე წელი უნდა გაატაროს არცნობისა და საერთო ყურადღების გარეშე, შემდეგ კი შეიძლება მისი ოსტატად აღიარებაც. ეს ამქრული ჩვევები უნდა დაიმსხვრეს. სიყვარულითა და გულმოდგინებით უნდა გამოვზარდოთ ახალგაზრდა ლიტერატორი, სისტემატურად ვიმუშაოთ მასთან და არ უნდა გვეშინოდეს ყოველი ნამდვილი მხატვრული ნიჭის გაბედულად დაწინაურება და წაქეზება.

2. ამასთან ერთად არ უნდა დავაჩქაროთ პროფესიულ ლიტერატურულ გზაზე შედგომა **ყოველი** ახალგაზრდა ავტორისა, რომელსაც დაუწერია პირველი ლექსები, პირველი წიგნი, რომელიც არ იცნობს ცხოვრებას და ვერ შეუმუშავებია ცხოვრების ჩვევები. და მით უმეტეს საზიანოა უაღრესად კეთილსურვილების გამო გავაზვიადოთ, გავბეროთ ადამიანები, რომელთა ნიჭი ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა, დავაწინაუროთ ისინი „პროლეტარული წარმოშობის“ გამო, „კარგი თემისათვის“ და საერთოდ დემაგოგიური მიზნების გამო.

3. გულმოდგინეობით უნდა ვიმუშაოთ **ყველა** საბჭოთა ლიტერატორებთან ე. წ. „ცნობილებთანაც“ და „არაცნობილებთანაც“, ყველა კეთილსინდისიერ ლიტერატურულ მუშაკთან, რომლებიც ჩვენში უმრავლესობას წარმოადგენენ. არ შეიძლება ე. წ. „ცნობილები“ ქედმაღლურად დაჰყურებდნენ „არაცნობილთ“, დაივიწყონ, რომ ოდესღაც თვითონვე იყვნენ „არაცნობილნი“, დაივიწყონ, რომ ადამიანები სწავლობენ და იზრდებიან.

თუ მწერალთა კავშირის ყოველი ათი ანდა თითქმის ოცი წევრიდან შეიძლება აღიზარდოს თუნდაც ერთი, რომლის ნაწარმოებები მიიღებენ დიდ, ფართო საზოგადოებრივ მნიშვნელობას, როგორი პლუსი იქნება ეს მთელი საბჭოთა ლიტერატურისათვის! მაგრამ ამისათვის უნდა ვიმუშაოთ ლიტერატურის **ყველა** კეთილსინდისიერ მუშაკთან, გვქონდეს მათდამი ყურადღება და პატივისცემა.

ამასთან ერთად უნდა შევქმნათ ლიტერატურულ წრეში მუქთამჭამლებისადმი, ხალტურისმკეთებლებისადმი, „იოლი“ ცხოვრების მოყვარულთადმი სიძულვილის ატმოსფერა და მზის სინათლეზე გამოვიყვანოთ ისინი.

4. მწერალთა კავშირის მუშაობაში მთავარი ყურადღება უნდა გადავიტანოთ ლიტერატორის იდეურ-მხატვრული აღზრდის საკითხებზე. პრეზიდიუმისა და გამგეობის სხდომებზე მწერალთა ფართო წრის მოზიდვით და სპეციალურ კონფერენციებზე განვიხილოთ ცალკე ნაწარმოებები და ლიტერატურის საერთო საკითხები; წავაქეზოთ და გავშალოთ დისკუსიები სხვადასხვა მიმართულებას შორის ლიტერატურულ ფორმათა დარგში, გვახსოვდეს, რომ სოციალისტური რეალიზმი გულისხმობს მათს არნახულ მრავალფეროვნებას.

5. დროზე გაეწიოს წინააღმდეგობა მტრულს გავლენებსა და ტენდენციებს ლიტერატურაში, სადაც არ უნდა აღმოჩნდნენ ისინი „ცნობილებთან“ თუ „არაცნობილებთან“. უნდა ავღზარდოთ მწერალთა და კრიტიკოსთა კადრები ბოლშევიკური პრინციპულობის სულისკვეთებით, აღმოვფხვრათ ყალბი ამქრული ეთიკის გადმონაშთები და პოლიტიკური გულუბრყვილობა, რაც მოდგამს საბჭოთა ლიტერატორების ცნობილ ნაწილს და რასაც იყენებენ მტრულადგანწყობილ ადამიანთა ნარჩენები.

ასეთი გზით საბჭოთა მწერლების კავშირი შესძლებს გამოსჭედოს მწერალთა არნახულად ფართო და მზარდი კადრები—ლენინ-სტალინის საქმისათვის მებრძოლები, კომუნისტური საზოგადოების მწერლები.

„ლიტერატურნაია გაზეტას“ 15 სექტემბრის მოწინავე.

მისალმება ამხანაგ სტალინისადმი

ძვირფასო ამხანაგო სტალინ! შევიკრიბენით რა ყალმუხური ეპოსის „ჯანგარის“ 500 წლისთავის დღესასწაულზე, ჩვენ, თავისუფალი ყალმუხეთის შვილები, მოძმე რესპუბლიკათა მწერლები, პოეტები, მეცნიერნი, რომელნიც ამ საზეიმო დღეებში ჩამოვედით თავისუფალი ველების დედაქალაქში — ელისტაში, მოგმართავთ თქვენ, ჩვენს ბელადს, მასწავლებელს, მეგობარს ჩვენი პირველი სიტყვით — მისალმების, ერთგულებისა და სიყვარულის სიტყვით.

ფართოდ გადაჭიმულან ყალმუხეთის თვალუწვდენი ველები. მრავალ წელს დამწუხრებული, მშიერი, გაჭირვებული დახეტიალებდა ამ ველებში ყალმუხი ხალხი. ნოიონი, კულაკი, მეფის მოხელე იმონებდნენ თავისუფლების მოყვარულ ყალმუხს. დიდი რუსი ხალხის საუკეთესო შვილებთან ერთად, რომელნიც მეფის რუსეთის ყველა ხალხის განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ, ყალმუხებიც ეწეოდნენ ბრძოლას დამმონებლების წინააღმდეგ. თავისუფლებისაკენ, ბედნიერებისაკენ მისწრაფება, ხალხის გმირული სულის დაუშრეტელი, ძლევამოსილი ძალებისადმი რწმენა არ გამქრალა ყალმუხის გულში. თავისი ხალხური პოემის „ჯანგარის“ მძლავრი სახეებით გამოხატა ეს რწმენა ყალმუხმა ხალხმა, ბუმბას მადლიან ქვეყანაზე ოცნებაში ჩააქსოვა მან თავისი მისწრაფება თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ.

ყალმუხმა ხალხმა იცოდა, რომ მხოლოდ მძიმე, ულმობელი ბრძოლით შეუძლია მას მოიპოვოს სასურველი თავისუფლება, ბედნიერება, და იგი დევგმირთა — „ჯანგარის“ თანამებრძოლთა პირით ფიცსა სდებდა:

> არ დავზოგავთ სიცოცხლეს,
> ჩვენს ფიქრებს სამშობლო მხარეს მივუძღვნით;
> უკუვაგდებთ შურს, ტრაბახს,
> ფარულ მტრობას, ღალატს, სიხარბეს;
> მკერდს გავიპობთ და ამოვიღებთ გულს
> და ხალხს შევსწირავთ ჩვენს სისხლს.

ასწლობით გრძელდებოდა ეს ბრძოლა, მაგრამ ყალმუხი ხალხი ვერ ხედავდა ამ მადლიან ქვეყანას. და ასე იყო მანამდე, სანამ ჩვენი მიწა-წყლის დიად დევგმირთა — ლენინისა და სტალინის დროშით, ბოლშევიკების დროშით არ დაირაზმა ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხი. ბოლშევიკების პარტიამ გააერთიანა ისინი საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში და სასიხარულო გამარჯვებამდე მიიყვანა. მეგობრობის, ძლიერებისა და ბედნიერების ძმურ ოჯახში შევიდა, როგორც თანასწორი, თავისუფალი ძმა, ყალმუხი ხალხი, რომელიც დიდი რუსი ხალხის დახმარებით ანვითარებს თავის ძლიერებას, კულტურას და კეთილდღეობას. და ჩვენ ახლა უკვე შეგვიძლია შევაჯამოთ ნაყოფი ჩვენი პირველი გამარჯვებებისა, რომლებსაც მოჰყვება ახალი, კიდევ უფრო ბრწყინვალე გამარჯვებანი.

აყვავდა ყალმუხური ველი. უხვი მოსავლით აჯილდოებს იგი შრომისმოყვარე ყალმუხის სასიხარულო შემოქმედებითს შრომას. იუბილესწინა სოციალისტურ შეჯიბრებაში ყალმუხეთის ასობით კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სოციალისტური მიწათმოქმედების საწარმოო ბრიგადებმა და რგოლებმა ისეთ შედეგებს მიაღწიეს, რომლებიც მოწმობენ მაღალი სტალინური მოსავლისათვის ბრძოლაში მიღწეულ წარმატებებს. დასავლეთ ულუსის კრუპსკაიას სახელობის, ლენინის სახელობის, „პროლეტარსკაია პობედას“, ჩკალოვის სახელობის, „როტე-ფანეს“ სახელობის კოლმეურნეობებში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია მარცვლეულ კულტურათა ას-ასი ფუთი და კიდევ მეტი მოსავალი. ყალმუხეთის რესპუბლიკაში წელს აღებულ იქნა 3 მილიონი ფუთით მეტი მარცვალი, ვიდრე გასულ წელს. ვითარდება მეცხოველეობა. 1940 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 8 პროცენტით, ცხვრის სულადობა—38,5 პროცენტით.

იზრდება ყალმუხი ხალხის კეთილდღეობა. ამასთან ერთად იზრდება და ვითარდება მისი კულტურა, ლიტერატურა, მისი შესანიშნავი ხალხური შემოქმედება.

„ჯანგარის“ 500 წლისთავი, რასაც ყველა საბჭოთა ხალხები დღესასწაულობენ, კიდევ უფრო ფართოდ გადაშლის ჩვენი სამშობლოს მილიონობით მშრომელთა წინაშე ბედნიერი ყალმუხეთის ხალხური ეპიკური შემოქმედების დიდებულ საგანძურს. ეპოსი „ჯანგარი“, გადათარგმნილი სსრ კავშირის რამდენიმე ათეული ხალხის ენაზე, მთელი საბჭოთა ხალხის, მთელი მოწინავე კაცობრიობის კუთვნილება ხდება.

ჩვენ ვიცით სახელი, რომელთანაც განუყრელად დაკავშირებულია ყველა ჩვენი გამარჯვება. ჩვენ ვიცით სახელი, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ძლიერების, ჩვენი ერთობის, ხალხთა დიადი მეგობრობის სიმბოლოს. ჩვენ ვიცით სახელი, რომელიც გვაფრთოვანებს ახალ მისწრაფებათათვის, ახალი შემართებისათვის, რომელიც აფრთოვანებს ჩვენს შრომას, რომელიც ფრთებს ასხამს ჩვენს პოეტებს. ჩვენ ვიცით სახელი, რომელიც ვით უძლეველი დროშა, თავს დაჰფრიალებს საბჭოთა ქვეყანას — ბუმბის*) ამ მოპოვებულ მადლიან ქვეყანას, „ძლიერ ადამიანთა ამ სურნელოვან ქვეყანას, დევგმირთა ამ ალთქმის ქვეყანას“. და ჩვენ ვადიდებთ დიად სახელს, ჩვენი ბელადის, მასწავლებლის, მეგობრის სახელს, თქვენს სახელს, ძვირფასო, საყვარელო ამხანაგო სტალინ.

(მიღებულია ყალმუხური ეპოსის „ჯანგარის“ 500 წლისთავის დღესასწაულისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ქ. ელისტაში 1940 წ. 6 სექტემბერს).

---

*) ბუმბა—სიუხვის, სიხარულისა და მარადიული სიჭაბუკის ზღაპრული ქვეყანა.

ყალმუხი ხალხის დღესასწაული

დიდის ზეიმით ჩატარდა ყალმუხი ხალხის დღესასწაული მიძღვნილი სახალხო ეპოსის „ჯანგარის“ 500 წლისთავისადმი. ქალაქ ელისტაში მიწვეული იყო სსრკ მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი. პლენუმს წინ უსწრებდა რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის საზეიმო სხდომა, რომელზედაც მოხსენება თემაზე „ჯანგარი“ და ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება“ გააკეთა ყალმუხეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ და რესპუბლიკურ საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. გარიაევმა. მოძმე რესპუბლიკებიდან მისალმებებით გამოვიდნენ პ. პავლენკო, პ. პანჩი, ს. ვურღუნი, ხოცა ნამსარაევი, ა. ტოკმაგამბეტოვი, ს. კოლოსენკო და სხვ.

საბჭოთა მწერლების კავშირის პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. ა. ფადეევმა.

ა. ფადეევის სიტყვის შემდეგ მოხსენებას „ყალმუხი სახალხო ეპოსი „ჯანგარი“ აკეთებს პროფ. ვ. კირპოტინი.

— „ჯანგარი“ არის პროდუქტი თავისებური და ორიგინალური ნაციონალური კულტურისა. მისი მხატვრული თავისებურება, პოეტური სტრუქტურის ორიგინალობა, ყველას მიერ აღიარებულია. ამ ეპოსის სტრიქონები გარითმულია არა ბოლოში, არამედ დასაწყისში. „ჯანგარის“ პოეტური ფანტაზია შეიცავს სხვა სახალხო ეპოპეებთან შედარებით, ზოგიერთ ახალ ელემენტებს. ახალია, ორიგინალური და უჩვეულო ამ პიესის მხატვრულ სახეთა სტიქია. „ჯანგარი“ შექმნილია ისეთი ხალხის მიერ, რომელიც თითქმის საბჭოთა ეპოქამდე მომთაბარეობას ეწეოდა. ეს გამოიხატა პოემის მხატვრულ სახეებში, ასოციაციებში, შედარებებში, ეპითეტებსა და ფანტასტიკაში.

როგორც ყველა ეპოსი „ჯანგარი“ გაჟღენთილია მებრძოლი პატრიოტული სულით. მიუხედავად ფეოდალური დაქსაქსულობისა ყალმუხმა ხალხმა შექმნა და გამოსთქვა თავის პოემაში სამშობლოსათვის, ქვეყნისათვის ბრძოლის იდეა.

ხალხის იდეალი ბედნიერ ცხოვრებაზე განსაკუთრებული პოეტური მეტყველებით არის გადმოცემული ზღაპრული ქვეყნის ბუმბის აღწერაში.

აქ არის სწრაფვა სახალხო თანასწორობისაკენ.

და ყალმუხმა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლებაში ჰპოვა დიდი ხნის ოცნების განხორციელება. ჯანგარელ გოლიათების ფიცს თავგანწირულებაზე ახალი აზრი მიეცა — იგი გადაიქცა სოციალისტურ სამშობლოსათვის თავგანწირვის ფიცად.

ამხ. კირპოტინის მოხსენების შემდეგ ვრცელი სიტყვით გამოვიდა გენერალ-პოლკოვნიკი ო. გოროდოვიკოვი. ამით დასრულდა პლენუმის პირველი სხდომა.

მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა აკადემიკოს ი. სოკოლოვის მოხსენება „ჯანგარი“ და სსრ კავშირის ხალხთა ეპოსი“.

— სხვადასხვა ხალხთა ეპოსებს ძალზე ბევრი რამ აქვთ საერთო. თემატიკა, სუჟეტი, იდეური მიმართულება, მხატვრულ სახეების სისტემა, კომპოზიციის ხერხი, თხრობითი მანერა და სხვა ბევრათ წააგავს ერთმანეთს. ამავე დროს ყოველი ხალხის ეპოსი ყოველთვის ორიგინალურია, შინაარსითა და ფორმით იგი გამოიყოფა სხვა ხალხთა ეპოსებისაგან თავისი ნაციონალური თავისებურებით, ნაციონალური წყობისა და ხასიათის გამოსახვით.

აღნიშნავს რა ამას აკადემიკოსი, ვრცლად ჩერდება „ჯანგარის“ თავისებურებებზე. „ჯანგარის“ კომპოზიცია არა ჰგავსო,—ამბობს მომხსენებელი,—ნარტების უდიდეს ეპოსს, რომელიც გვხიბლავს თავისი მითოლოგიურობით, იგი შორს არის კარელია-ფინეთის ეპოსის „კალევალასაგან“. კარელია-ფინეთის, ესტონეთის რუნები დღევანდლამდე ხალხში ცხოვრობენ ცალკე სიმღერების სახით, ისინი ერთმანეთთან სუჟეტურად სუსტად არიან დაკავშირებულნი. კავკასიის ნარტების ეპოსი და ჩრდილოეთის რუნები ძირითადში შექმნილია ადრინდელ ფეოდალიზმის პერიოდში. „ჯანგარი“ კი გამოხატავს ძალზე უფრო გვიანდელ და უფრო რთულ საზოგადოებრივ წყობას. იგი ასახავს უკვე საკმაოდ განვითარებულ ფეოდალიზმის კულტურას.

„ჯანგარი“ უფრო ახლოს დგას თურქულ-თათრულ პატარა პოემებსა და რუსულ ბილინებთან; კომპოზიციურობის მიხედვით იგი თითქოს წარმოადგენს ეპოსის განვითარების შემდეგ ეტაპს.

აკად. სოკოლოვის შინაარსიანი მოხსენების შემდეგ „ჯანგარის“ რუსულად მთარგმნელმა ს. ლიპკინმა ილაპარაკა თარგმანზე თავისი მუშაობისა და „ჯანგარიადის“ პოეტურ თავისებურებებზე.

განსაკუთრებული ინტერესით მოისმინეს დამსწრეებმა „ჯანგარიადის“ საუკეთესო მომღერლების მუკებენ ბასანგოვისა და დავა შავალიევის გამოსვლები.

„ჯანგარის“ თარგმანები წაიკითხეს ქართულად კ. კალაძემ, სომხურად მკრტიჩ კორიუნმა და უკრაინულად ევგ. ფომინმა.

პლენუმის უკანასკნელ სხდომაზე ცერენ ლიჯინსოვმა მოხსენება გააკეთა საბჭოთა ყალმუხეთის მხატვრულ ლიტერატურაზე.

მოხსენების შემდეგ საბჭოთა ხალხების სხვა და სხვა ენებზე ისევ აჟღერდნენ შესანიშნავი ეპოსის სიმღერები.

პლენუმის დასასრულს პოეტმა ს. ლიპკინმა წაიკითხა დიდი სტალინისადმი მიმართული ფიცი, რომელიც ლექსად დასწერეს ყალმუხეთისა და მოძმე რესპუბლიკების პოეტებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ მაიაკოვსკი ევპატორიაში

მარიჯან

16 აგვისტო, 1929 წელი. კურზალში გამოცხადებულია ვ. მაიაკოვსკის სალამო. დილიდანვე ხალხი სალაროსთან დგას რიგში. რიგი თანდათან იზრდება. უკვე სამი დღეა, ევპატორიის კედლები აჭრელებულია ანონსებით: „მაიაკოვსკი“. მოაგარაკენი და დამსვენებლები ღელავენ, ყველას პოეტის სახელი აკერია პირზე. ყველა იჩქარის ინახულოს და მოისმინოს მაიაკოვსკი.

დილით მაიაკოვსკი საერთო პლიაჟზე იყო. ცისფერი პიჟამით, მხარზე პირსახოც-გადაგდებული. შორიდანვე ირჩეოდა თავისი აღნაგობით. ირგვლივ აჩურჩულდნენ: „მაიაკოვსკი“, „მაიაკოვსკი“. ბავშვები დაურიდებლად მირბიან სახელოვანი პოეტის სანახავად. მაიაკოვსკი მოწყენილია, რაღაც დაღლილობა ემჩნევა. სახე არ ულიმის, მიუხედავად იმისა, რომ ირგვლივ იუმორისტი მსახიობები ახვევიან: ხენკინი, აფონინი და სხვანი,ოხუნჯობენ და იცინიან. მაიაკოვსკი ექსპრომტებს ამბობს:

1.

Жалею тех, которые
Не бывали в Евпатории.

2.

В Евпатории пески горячи
Евпаторьячи.

ხელად მთელ პლიაჟს მოედო ეს ფრაზები...

საღამოთი კურზალი სავსეა. ვისაც არა აქვს ბილეთი, ცდილობს მესერის უკან დაიკავოს ადგილი. რამდენიმე წყებად დგანან.

გამოდის მაიაკოვსკი. კოსტიუმი აცვია. ცხელა, ჩუმად არის. იხდის პიჯაკს. ჰკიდებს სკამზე. მერე ჰალსტუხს იხსნის, იმასაც ჰკიდებს. ხალხი იცინის. შემდეგ პერანგის სახელოებს აიწევს. აუდიტორიაში მხიარული განწყობილებაა. ხალხი ელის მაიაკოვსკის სიტყვას. პოეტი განზრახ სდუმს, გაივლ-გამოივლის სცენაზე.

ჯერ შესავალი სიტყვა სთქვა. შეეხო თანამედროვე პოეზიას. „წინათ იყო დაფნის გვირგვინი და ტკბილი ნამცხვარი (**Сладкий пирог**). ამის დასასაკუთრებლად მიექანებოდნენ პოეტები. ყველას უნდოდა დაფნის გვირგვინით თავი შეემკო და „ნამცხვარი“ დაესაკუთრა. ახლა ყოველი პოეტი თუ მწერალი იმდენად ფასდება, რამდენადაც მას შეუძლია თანადროულობას ემსახუროს, ფასდება იმისდა მიხედვით, რამდენი ცხენის ძალაა მასში“.

მე მომეწონა ასეთი შედარება. ხალხი იცინის, დაიწყო პოეტების კრიტიკა, არავინ რჩება გაუკენწლავი. უფრო ლმობიერად ბეზიმენსკის იხსენიებს. „ზოგიერთ პოეტს ლექსი, როგორც რითმის მივნება, ისე აქვს გაგებული. რა ღირებულება აქვს ასეთ რითმებს: „**Ковыле на серой кобыле**“ და სხვა.

ვიდრე ლექსების კითხვაზე გადავიდოდა, სთქვა: „ყოველი პოეტი თავისებურად კითხულობს ლექსებს და მსახიობს არასოდეს არ შეუძლიან წაიკითხოს ისე, როგორც თვით ავტორს. აი მე ხშირად მიხდება მოსმენა და არც ერთი მსახიობის კითხვა არ მაკმაყოფილებს. თვით ისეთი ცნობილი კითხვის ოსტატი, როგორიც არის კაჩალოვი, იგიც ვერ კითხულობს ხეირიანად ჩემს „მზეს“, თუმცა მეც სხვადასხვანაირად ვკითხულობ ხოლმე ჩემს ლექსებს, იმისდა მიხედვით, როგორ განწყობილებაზე ვარ ან ვის წინაშე ვკითხულობ“.

შემდეგ დაიწყო ლექსების კითხვა. ვისაც მოუსმენია იმისი მქუხარე ხმა, ის არასოდეს არ დაივიწყებს ამ მეტყველებას. ყოველი სიტყვა ჩამოსხმულია, მკაფიო, თითქოს მძიმე ურო ეშვება გრდემლზეო. როცა უსმენ, გესმის მისი დაფანტული სტრიქონების სტრუქტურა, გესმის, რით არის გამოწვეული ეს მახვილები. კითხულობს შემდეგ ლექსებს: „მარცხნივ“, „საბჭოთა პასპორტი“, „კარგია“ „ამხანაგ ნეტტეს“.

ყოველ ლექსს მქუხარე ტაში ჰფარავს. კითხვაში ძლიერია და ხელად იპყრობს აუდიტორიას.

მეორე განყოფილებაში შეკითხვების პასუხებია. აუდიტორიას მეტი სიცხოველე დაეტყო. სცენასა და აუდიტორიას შორის მჭიდრო კავშირი გაიბა. კითხულობს ბარათებს და მოსწრებულად უპასუხებს. ხალხი იცინის. ზოგი ბრაზობს. ზოგიც ღელავს.

სოსო გრიშაშვილმა მისწერა ბარათი: „თქვენ არ მოგწონთ კაჩალოვის კითხვა. არტაბალევსკი ითვლება საუკეთესო მკითხველად. რას იტყვით იმის შესახებ, როგორ კითხულობს „მზეს“?

მაიაკოვსკიმ წაიკითხა სოსოს ბარათი და სთქვა, რომ მას არტაბალევსკის კითხვა არ მოუსმენია. არტაბალევსკი ლენინგრადის „კითხვის თეატრის“ რეჟისორია. ხალხი სთხოვს არტაბალევსკის, წაიკითხოს, რეჟისორი დგება, აუდიტორია ტაშით ეგებება. სწორედ რამდენიმე დღის წინათ, ვიდრე მაიაკოვსკი ჩამოვიდოდა. არტაბალევსკიმ თავის სალამოზე წაიკითხა მისი ლექსები და ყველას ძალზე მოეწონა.

არტაბალევსკი სცენაზე ავიდა. ღელავს. ბოდიში მოიხადა.

— ეს-ესარის სანატორიუმიდან მოვედი, კონცერტი იყო, დაღლილი ვარ.

დაიწყო კითხვა, შეეშალა. როგორც იყო, დასძლია აღელვება. გამოსწორდა. მაიაკოვსკი ჯერ გატრუნული უსმენდა, მერე წამოდგა და დაიწყო შენიშვნები:

—„უპირველეს ყოვლისა თქვენ სათაური არა სთქვით, სათაური თემაა. სათაური იმიტომ აქვს ლექსს, რომ უნდა წაიკითხოთ“.

არტაბალევსკი აენთო. ეწყინა. მაიაკოვსკი ისე აძლევს შენიშვნებს, როგორც მოწაფეს. აუდიტორია აღშფოთდა, ორად გაიყო. გამოვიდნენ არტაბალევსკის დამცველები. ატყდა ყიჟინა, აურზაური.

აუდიტორია სთხოვს მაიაკოვსკის, თვითონ წაიკითხოს „მზე.“ მაიაკოვსკი რიხით კითხულობს. ხალხი დაწყნარდა, ყველა სმენად არის გადაქცეული. პოეტმა კვლავ დაიპყრო აუდიტორია. მაიაკოვსკი ბევრად უფრო კარგად კითხულობს. მკრთალად სჩანს არტაბალევსკი. დასრულდა კითხვა. კვლავ მქუხარე ტაში.

მაიაკოვსკი მიმართავს აუდიტორიას:

— „ვინ უკეთესად კითხულობს: ხმის უმეტესობით გადაწყდეს!“

აქ სოსო გრიშაშვილი თავისებურად წამოხტა და ყვირის:

— სად გაგონილა ამისთანა შეკითხვა, ეს გემოვნების საკითხია!

ატყდა ისევ აურზაური, ხალხი სოსოს აწყნარებს. მე სახელოზე ვეწევი, რომ გაჩუმდეს. ზოგი იცინის, ზოგი ყვირის. არტაბალევსკი სცენაზე უმტკიცებს მაიაკოვსკის:

—**Никаких внешних признаков для повышения голоса нет в слове «необычайное», чтобы его выпячивать!»**

კამათი სცენაზე, აუდიტორიაში მსმენელები ერთმანეთს დაერივნენ.

— არა, ავტორი უკეთესად კითხულობს!

— არტაბალევსკი ცუდ მდგომარეობაში რად ჩააყენეთ!

სულ-კი სოსო გრიშაშვილის შეკითხვამ გამოიწვია ეს ალიაქოთი. მე ვუსაყვედურებ.

— რა გინდოდა, რას ერჩოდი იმ ადამიანს? თავისთვის იჯდა და ყურს უგდებდა.

საღამო დასრულდა, ჯგუფ-ჯგუფად იშლებიან მაყურებელნი. ჩვენც მივდივართ ლაპარაკით. მაიაკოვსკი მსახიობებთან ერთად სავახშმოდ მიდის. ჩვენი ქართული ბაასი რომ გაიგო, მსახიობებს დაშორდა, ჩვენ წამოგვეწია და ქართულად გვეკითხება:

— საიდან ხართ?

გამეხარდა, რომ ქართულად დაგველაპარაკა. ჩვენ არ გავუმხილეთ ჩვენი პროფესია, მხოლოდ ვუთხარით, რომ თბილისელები ვართ. — ამა და ამ პოეტებს ხომ იცნობთო,— დაგვისახელა რამდენიმე ჩვენი ამხანაგი. გაგვეცინა. შეგვეკითხა სიმონ ჩიქოვანზე, ბესო ჟღენტზე.

— როგორ არა, ძალიან კარგად...

გამოგვყვა, დიდხანს გველაპარაკა, დიდი სიამოვნებით მოიგონა თბილისი, მთაწმინდა, ქართული სუფრა და სიმღერები. მერე ისევ ლექსების კითხვაზე და პოეზიაზე გადავიდა. ქუჩის მოსახვევში გამოგვემშვიდობა. მეორე დღეს იალტაში მიდიოდა.

○

1930 წელი. მე ისევ ევპატორიაში ვიყავი. იმავე კურზალში რაღაც კინო-სურათს აჩვენებდნენ, და წინასწარ, ჩვეულებისამებრ კინო-ჟურნალი მიუძღოდა: „**მაიაკოვსკის დაკრძალვა მოსკოვში**“. ერთი წლის წინათ სწორედ ამ ესტრადაზე ცოცხალი მაიაკოვსკი იდგა, დადიოდა, იბრძოდა ლომივით ყოველი თავისი სიტყვისათვის. სჭექდა, ჰქუხდა, არავის ინდობდა, ახლა კი მის ნაცვლად ეკრანზე ყვავილებით მორთულ უზარმაზარ კუბოს ვხედავდი.

ვის მოუვიდოდა აზრად, ან ვინ წარმოიდგენდა, რომ ის საღამო იყო მისი უკანასკნელი ლიტერატურული საღამო ევპატორიაში და უკანასკნელი ჩვენი შეხვედრა მაიაკოვსკისთან.

ვლადიმერ მაიაკოვსკი და ქართული პოეზია

ალ. სულავა

„ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტიან“ საქართველოს არა ერთი და ორი რუსი მწერალი აუნთია შორეულ წარსულშიაც ბრწყინვალე შემოქმედებითი შთაგონებით. მრავალი გამოჩენილი რუსი პოეტის შემოქმედება განაყოფიერებულა ქართველი ხალხის ცხოვრების გავლენით. ქართულ მწერლობას მუდამ ჰქონდა რუსულ მწერლობასთან ურთიერთობის მდიდარი ტრადიცია. ეს ტრადიცია მოდის პუშკინიდან, რომელსაც მაშინდელ ქართველ მწერლებს შორისაც ჰყავდა მეგობრები. საქართველო აღაფრთოვანებდა მ. ლერმონტოვს, ლ. ტოლსტოის, ა. ოდოევსკის, გორკის და სხვებს.

ამ ფონზე იქმნებოდა სწორედ კულტურული ურთიერთობა და ის გამანაყოფიერებელი გავლენა, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ქართველი ხალხის პროგრესიული აზროვნების განვითარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმი სრულიად არ უწყობდა ხელს რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობას, პირიქით, შურს სთესდა მათ შორის, მეგობრობის გრძნობა მაინც სათანადო გამოხატულებას პოულობდა ორივე ხალხის საუკეთესო შვილების შეგნებაში. ქართველი ხალხის საამაყო მწერლებს რუსეთიდან მოჰქონდათ მოწინავე აზრები და ამ აზრებით ამდიდრებდნენ ქართველი ხალხის შეგნებას, მაგრამ არც რუსი მწერლები მიდიოდნენ ხელცარიელნი საქართველოდან. „პრავდის“ მოწინავემ შესანიშნავად აღნიშნა ამას წინად, რომ ლერმონტოვის „მწირში“ „ვეფხთან მწირის შებმის განთქმული სურათი შთაგონებულია ქართველი ხალხის გენიალური პოემით, შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილებით. ლერმონტოვი ღრმად განიმსჭვალა ქართველი ხალხის სულისკვეთებით, მისი მისწრაფებით თავისუფლებისადმი“.

ეს შესანიშნავად ნათქვამი სიტყვები შეეხება არა მარტო ლერმონტოვს, არამედ ბევრ სხვა რუს მწერალსაც. ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის შეუდრეკელი ბრძოლის წყურვილით ბავშვობის დღიდანვე განიმსჭვალა საბჭოთა ხალხის ერთ-ერთი უდიდესი რევოლუციური პოეტის — ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედება. ის ფაქტი, რომ მაიაკოვსკი დაიბადა საქართველოს სოფელში თავისთავად განსაკუთრებულს არაფერს ნიშნავს, რომ ეს დაბადება არ იყოს დაკავშირებული პოეტის რევოლუციურ შთაგონებასთან. კარგად აღნიშნავდა ერთი ქართველი პოეტი ვ. მაიაკოვსკის შესახებ: ყოველი პოეტის ბიოგრაფიაში დიდი ადგილი უჭირავს ბავშვობაში მიღებულ შთაბეჭდილებებსო. მაიაკოვსკის შთაგონების გამოფხიზლების საქმეში დიდ როლს თამაშობს 1905 წლის რევოლუციის შთაბეჭდილებანი. ეს შთაბეჭდილებები იმდენად ძლიერი იყო, რომ მან იმპულსი მისცა მომავალ პოეტს, ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში ბოლშევიკურ პარტიას მიმხრობოდა, მონაწილეობა მიეღო მის არალეგალურ მუშაობაში. მაიაკოვსკი ქუთაისელი მოსწავლე იყო, როდესაც მისი სულიერი ვითარება აფორიაქეს 1905 წლის რევოლუციურმა გამოსვლებმა, ის მონაწილეობას იღებდა ამ საერთო სიხარულში, რომელსაც გამოსთქვამდა მაშინ მთელი მშრომელი ხალხი. ამ წლებში მიღებული რევოლუციური ენტუზიაზმი მაგრად ჩაინერგა პოეტის შთაგონებაში და მან მაიაკოვსკის პოეტური დავაჟკაცების დროსაც უდიდესი როლი ითამაშა. ეს იყო ერთგვარი საწინდარი, გზა—თუ რად მივიდა პოეტი ოქტომბრის რევოლუციასთან პირდაპირ, ყოველგვარი მერყეობის გარეშე.

თავის ავტობიოგრაფიაში მაიაკოვსკი სწერდა: მივიღო თუ არ მივიღო — ასეთი კითხვა ჩემთვის არ ყოფილაო. რევოლუცია ჩემია, წავედი სმოლნში, ვმუშაობდი ყველაფერს, რაც შემხვდებოდაო. რევოლუციისადმი ღრმა სიყვარული პოეტს გაჰყვა საქართველოდან, რომლის შესახებ პოეტს არაერთხელ უთქვამს: მე დავიბადე და გავიზარდე ქართველებს შორის და შევითვისე ქართველური ტემპერამენტიო.

მაიაკოვსკის პირადი მეგობარი კინორეჟისორი ნ. შენგელაია თავის მოგონებაში პოეტის შესახებ ამბობს: მაიაკოვსკი ხშირად იგონებდა ქართველ მეგობრებთან ქუთაისის ამბებს და ხაზგასმით აღნიშნავდა: რევოლუციური ნათლობა იქ მივიღეო, კაზაკებმა პირველად იქ მცემესო. მაიაკოვსკი მაშინ ქუჩებში ხმამაღლა კითხულობდა ქართულად იროდიონ ევდოშვილის ცნობილ ლექსს „მეგობრებს“, ეს ლექსი მაიაკოვსკის სიკვდილამდე ახსოვდა და წარსულის მოსაგონებლად მას ხშირად იმეორებდაო.

ვ. მაიაკოვსკის შეგნებას ზრდიდა ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა თავისუფლებისათვის, ამ შეგნებით აღიგზნა იგი ბავშვობიდანვე და, როგორც თვითონ ამბობს ერთ თავის ლექსში, მე დავიბადე საქართველოში, მაგრამ მთელი სიმაღლით გავიზარდე რუსეთშიო. ვ. მაიაკოვსკი, როგორც დიდი პოეტი, მართლაც დავაჟკაცდა ოქტომბრის რევოლუციაში, რომელსაც უყოყმანოდ მიემხრო პოეტი, და გახდა მისი უდიდესი ტრიბუნი. იგი ვაჟკაცურად გაჰყვა ოქტომბრის გზას და არასოდეს არ უღალატნია მისთვის, იგი ბოლომდე დარჩა სოციალიზმის უდიდეს პოეტად, საბჭოთა ეპოქის უნიჭიერეს მომღერლად, ხალხური გმირობის გამომხატველად, საბჭოური პატრიოტიზმის მღაღადებლად, სოციალიზმის დიდების პოეტად.

ვ. მაიაკოვსკის ღრმად სწამდა, რომ ის იყო რევოლუციის პოეტი, რომ მისი ნაწერები მარად იცოცხლებდნენ. იგი თვითონ სწერდა: „ოქტომბრის რევოლუცია მარად იცოცხლებს, მე კი მისი პოეტი ვარო“. ამიტომაც მიმართავდა იგი გაბედულად თავის ლექსს: „დაე, საერთო ჩვენი ძეგლი იყოს ბრძოლებში მონაპოვარი სოციალიზმიო“. ასე თქმა მხოლოდ დიდ პოეტს შეეძლო. მაიაკოვსკის ჰქონდა უფლება ასე ეთქვა, რადგან მან სავსებით დაიმსახურა სტალინური ეპოქის დიდი პოეტის სახელი თავისი ნიჭითა და უძლიერესი პოეტური მეტყველებით. ვინ არ იცნობს, ვის შეუძლია დაივიწყოს ის შედევრები, რომლებიც მაიაკოვსკის კალამს ეკუთვნიან, მისი „მარცხენა მარში“ — რევოლუციური შეტევის ჰიმნი, დიდი **ლენინის** ცხოვრებისა და ბრძოლის ამსახველი მონუმენტალური ტილო „ლენინი“; საბჭოთა პატრიოტიზმის გამომხატველი პოემა „კარგია“, ლექსები „საბჭოთა პასპორტი“, „თეოდორ ნეტტეს“, „მთელი ხმით“ და მრავალი სხვა უბრწყინვალესი ნაწერები. ამიტომ მისცა მაღალი შეფასება მაიაკოვსკის შემოქმედებას დიდმა ბელადმა **სტალინმა**.

ამიტომ უყვარდა და უყვარს მაიაკოვსკი საბჭოთა ხალხს. ამიტომვე სძულდათ იგი ხალხის მტრებს და სცდილობდნენ, გველური სისინით სიცოცხლე მოეწამლათ პოეტისათვის, რომელიც უძლიერესი ხმით ღაღადებდა სოციალისტური ეპოქის სიმძლავრეს და სიდიადეს. ტყუილად არ ამბობდა მაიაკოვსკი „მე მინდა კალამი ხიშტს გაუთანაბრდესო“. „სიტყვა—ადამიანის ძალის სარდალია“. „სიმღერაც და ლექსიც ყუმბარა და დროშაა“. მის პოეზიაში მძლავრად გაისმოდა ძველი ქვეყნის წინააღმდეგ „მოიერიშე კლასის“ მებრძოლი ხმა. მას ჰქონდა ამისათვის ყველა პოეტური თვისება—დიდი ნიჭი, გამბედაობა, ხალხისადმი სიყვარულის დიდი გრძნობა, ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულება, ხალხის მტრებისადმი სიძულვილი. ტყუილად არ ამბობდა პოეტი—„მუშათა კლასის მტრები ჩემივე მტრები არიანო“ („მთელი ხმით“). იგი თამამად მიმართავდა მუშათა კლასს—„გწირავ ყველაფერს უკანასკნელ სტრიქონებამდეო“.

მაიაკოვსკი საყვარელი პოეტია ქართველი ხალხისათვისაც. მით უმეტეს, რომ ამ ადამიანმა პირველად ფეხი აიდგა საქართველოს მიწაზე, აქ ეზიარა რევოლუციურ სინამდვილეს, აქ ისწავლა თავისუფლებისათვის ბრძოლა, აქ ისწავლა ქართული რევოლუციური ლექსები. მაიაკოვსკის სახელი მახლობელი და საყვარელია ჩვენთვის, მაიაკოვსკის უყვარდა საქართველო და ოცნებობდა გადაეხადა მისთვის ამაგი. ამის გამო პოემა „ფინინსპექტორთან საუბარში“ იგი სწერდა: „თქვენი ვალი მაქვს ბაღდადის ცანოო“. სამწუხაროდ, პოეტმა ამ ვალის გადახდა ვეღარ მოასწრო. მაგრამ ამას ოდნავაც არ შეუსუსტებია მაიაკოვსკისადმი სიყვარული ჩვენში, რადგან მაიაკოვსკი ეკუთვნოდა ყველას და მისი გავლენა როგორც დიდი პოეტისა ყოველთვის საგრძნობი იყო. განსაკუთრებით იმ წლებში, როდესაც ყალიბდებოდა ჩვენში ახალი საბჭოთა ინტელიგენცია. ბრძოლა მაიაკოვსკის სახელის გარშემო მწვავედ იმბობდა ქართულ მწერლობაშიაც. მაიაკოვსკის პოეზიას თაყვანს სცემდა ყველა ის, ვინც რევოლუციურ თანადროულობას მაიაკოვსკისებურად გრძნობდა და განიცდიდა. მაიაკოვსკი მაღალ რევოლუციური თვალსაზრისით უცქეროდა პოეზიის დანიშნულებას.

მაიაკოვსკი უყვარდა და უყვარს კომუნისტური საზოგადოების მშენებელ ხალხს, ამის შესახებ შესანიშნავად სწერდა ერთ თავის წერილში ს. ჩიქოვანი: „26 წელს მაიაკოვსკის საღამოს თბილისში აუდიტორია ვერ დახვდა სასურველად, შემდეგ მაიაკოვსკი ამტკიცებდა: ჰი, გამოვალ კომკავშირელთა და წითელარმიელთა მასაში და მნახავთ, თუ როგორ გარდავიქმნები, ჩემი საყვარელი აუდიტორია ის არის. რამდენიმე ხნის შემდეგ მაიაკოვსკი მართლაც გამოვიდა კომუნისტურ ახალგაზრდობიდან შემდგარ აუდიტორიის წინაშე. აქ ის გაიშალა მთელი თავისი გენიალობით, მთელი თავისი სიმძლავრით და მისი ყოველი სიტყვა ეცემოდა აუდიტორიაში, როგორც მიქელ ანჯელოს მიერ მოტეხილი მეტყველი ქვა“. მახლობელი იყო ვ. მაიაკოვსკი ყველა იმისთვის, ვინც მასავით აზროვნებდა, მასავით განიცდიდა ახალ ცხოვრებას, ვისაც მასავით ამოძრავებდა ახლის გრძნობა. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან მაიაკოვსკი იყო უძლიერესი გამომხატველი საბჭოთა იდეების და განწყობილებებისა. მას მაღლა ეჭირა კომუნისტური პოეზიის მებრძოლი დროშა. ეს დროშა არა ერთ და ორ ახალგაზრდა პოეტს ხიბლავდა. მაიაკოვსკის სახელთან, მის პატივისცემასთან დაკავშირებულია რამდენიმე ქართველი პოეტის სახელი. მაიაკოვსკის ყოველი ჩამოსვლა საქართველოში ახალგაზრდა პოეტებისათვის სიხარულს ნიშნავდა.

„ჩვენ ახალგაზრდა პოეტებმა, — აღნიშნავს თავის მოგონებაში მაიაკოვსკის შესახებ ა. მაშაშვილი, — გავუმართეთ მას მწერალთა კავშირში შეხვედრა. მახსოვს მე მაშინ წავუკითხე ჩემი ლექსი „დარიალი“, ის ყურადღებით მისმენდა. ლექსი მოეწონა, ქართულად მითხრა: ეს ლექსი მე მაგონებს ბესიკსო. და აქვე წარმოსთქვა ბესიკიდან რამდენიმე სტრიქონი. იმ საღამოს წაიკითხეს თავიანთი ლექსები პოეტებმა კარლო კალაძემ და კონსტ. ლორთქიფანიძემ. მის დამოკიდებულებაში ჩვენდამი იგრძნობოდა მზრუნველობა“. პოეტმა კ. კალაძემ მაიაკოვსკისთან შეხვედრას უძღვნა ლექსი „ერთი საუბარი“. მან ამ ლექსში მაიაკოვსკის უწოდა ერთადერთი ჯანიანი პოეტი და შესჩივლა მას, რომ ქართველი პოეტების ხმა ჯერ კიდევ „თვალ-მაღალ ვარსკვლავად ვერ ანთებულა“, რადგან წარსულის ცრემლები ედებათო. ამ ლექსში მოსჩანდა ქართველი პოეტის დამოკიდებულება რევოლუციის დიდ პოეტისადმი, მაგრამ მაიაკოვსკისადმი ასეთ სიყვარულს განიცდიდა არა მარტო კალაძე, არამედ ბევრი სხვა პოეტიც. მაიაკოვსკი მრავალი ქართველი პოეტის ოცნებას შეადგენდა. რუსი პოეტი ვ. საიანოვი კარგად სწერდა მაიაკოვსკის გავლენის შესახებ: „მე არა ვყოფილვარ მაიაკოვსკის კარგი ნაცნობი, ან მოწაფე, ჩვენი შეხვედრები შემთხვევითი იყო, ლაპარაკი—მოკლე, მაგრამ მაიაკოვსკის გარეშე მე ვერასოდეს ვერ გავიგებდი, რანაირად უნდა დამოუკიდებლობისაკენ სვლა პოეტურ მუშაობაში“. ეს სიტყვები მრავალ პოეტს შეუძლია გაიმეოროს. მათ შორის ქართველ პოეტებსაც, რადგან მაიაკოვსკი იყო უდიდესი ნოვატორი, პოეტურ მუშაობაში უცნობი გზების გამკაფველი, ბევრი პოეტი წასულა მაიაკოვსკის გზით, მაგრამ თუ მაიაკოვსკის არა ჰყავდა ქართულ პოეზიაში მიმდევრები ისე, როგორც რუსულ პოეზიაში, იმიტომ რომ ეს გამომდინარეობდა მისი პოეზიის საერთო თავისებურებიდან. მაიაკოვსკი ერთადერთი, განუმეორებელი, ნოვატორი პოეტი იყო, დიდ და მიუწვდომელ პოეტებს კი ნაკლებად უჩნდებიან მიმბაძველები.

მაიაკოვსკი უდიდეს გავლენას ახდენდა მთელ საბჭოთა პოეზიაზე, იგი გავლენას ახდენდა ქართულ პოეზიაზედაც, ქართული ლექსის თავისებურებაზე, ახალი პოეტური გზების წარმართვაზე. მრავალი ქართველი საბჭოთა პოეტი შთაგონებულია მაიაკოვსკის პოეზიით, რომელიც ჩვენს პოეტებს უყენებდა და უყენებს პასუხისმგებლობის უდიდეს მოვალეობას და ჩვენი დიდი სტალინური ეპოქის შესაფერის ვალდებულებას.

პოეტის ბავშვობა

გიორგი გიასელი

„ვოლოდია მაიაკოვსკის უყვარდა ხანისწყალი და ყვავილები“.
გლების ნაამბობიდან.

ბაღდათის ზეცა კრიალა, ლურჯი
დაჰყურებს ლაღად გაშლილ მთა-ველებს.
თითქოს უჩინარ ჯადოქრის ფუნჯით
მოურთავთ მხატვრებს და რუსთაველებს.

მთას მზის სხივები გამოპარვია
და ცას გაჰკვრია ოქროს სირმები.
ვენახს ულიმის მტევნებ-ქარვიანს
კლდენი შემდგარი, როგორც ირმები.

აწვიმს მიდამოს გამთბარი ცრემლი,
როს დნება ნისლი მთაში ნამალი.
სჩანს გაცრეცილი ღრუბლის ფურცლები,
ვით ძველთა-ძველი დასტურლამალი.

ალვისხეები სურათებს სწერენ,
ისევ მთები და ისევ ხევია —
მორევს რომ ჰკვეთენ და ფართხალებენ
ეგ ხანისწყალის კალმახებია.

არის კლდე, სადაც ჯიხვი ვერ ადის,
და ცას ლაჟვარდი არ ილევიან.
თვალმომხიბლავი ათასფერადი
ათასფურცელა ყვავილებია.

ყვავილებია მდინარის პირად,
თვითონ ნაძვებიც დგანან ყვავილში.
აქაურ მინდორს არასდროს სძინავს,
მას მღელვარებით მხოლოდ ქარი შლის.

პეპლებს დასდევდა ის მოკლე შარვლით,
ხიბლავდა მთები და ბაღდათის ცა.
ბავშვურ ღიმილით, ყველასგან მალვით
დაუკოცნია ვარდი და მიწა.

ხატავდა წიგნში ღელეს და მთა-ველს,
უყვარდა გაჭრა მქუხარე ქარში.
ხალხში გაგონილ სიტყვა—„რუსთაველს“
მოკრძალებული ისმენდა ბავშვი.

დახატულ ველზე მოაბიჯებდა,
ყვავილში მჯდარი დიდხანს ფიქრობდა —
ხანისწყლის ფშანში სოფლის ბიჭებთან
ფრთიან ლექსებით მოშაირობდა.

ვლადიმერ მაიაკოვსკი

სიმონ ჩიქოვანი

ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედება საბჭოთა ხალხის დიადი ბრძოლისა და დიადი შემოქმედებითი ენერგიის გამოხატულებაა. მან შესძლო თავისი მგზნებარე ლირიული ხმით ყოველდღიური თემები აეწია მაღალ პოეტურ ხარისხამდე, და მისი ლექსები და პოემები რევოლუციური პოეზიის კლასიკურ ნიმუშებად გადაიქცნენ. მისი ლირიული ხმა იყო დიდი სიყვარულის გამოხატვა საბჭოთა სამშობლოსადმი და ეს სიყვარული მან გამოსთქვა შესანიშნავი მხატვრული სახეებით და უდიდესი გაქანებით.

დიდმა **სტალინმა** ამიტომ უწოდა მას „ჩვენი საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერესი პოეტი“. მან შესძლო გამოეხატა საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი ბრძოლა და შემოქმედებითი ძალა, მან მონახა ახალი სიტყვა, ახალი ეპოქის სადარი და აიყვანა მხატვრული სიტყვა თავისი დროის სიმაღლეზე. ჯერ-ჯერობით საბჭოთა ხანის არც ერთი მომღერალი არ გასწორებია სიძლიერით მის პოეტურ გაქანებას. ის იყო ოქტომბრის რევოლუციის ნამდვილი შვილი და მას ჰქონდა ოქტომბრის რევოლუციის წიაღიდან ამოვარდნილი პათოსით აღსავსე პოეტური ხმა. ამიტომაც მაიაკოვსკის პოეზიის შინაგანი დინამიკა რევოლუციის პათოსიდან გამომდინარეობდა.

ამავე დროს ვლადიმერ მაიაკოვსკი იყო ნამდვილი შვილი დიდი რუსი ხალხისა და ამ ხალხის გოლიათური ძალის მაჩვენებელი პოეზიაში. პოეტური სიტყვით ის შეუერთდა თავისი ხალხის საუკეთესო ზრახვებს და თავის ხალხთან ერთად იბრძოდა უკეთეს მომავლისათვის. ის თავისი პოეტური სიტყვით შევიდა რუსეთის ხალხის საუკეთესო პოეტების პლეადაში. მან ახალი პოეტური სახეებით, ახალი გრძნობებით გამდიდრა ის ენა, რომელზედაც მეტყველებდნენ მსოფლიო პოეზიის კორიფეები — პუშკინი, ტიუტჩევი, ლერმონტოვი და ნეკრასოვი. თავისი ძლიერი და მკვეთრი ხმით მან უფლება მოიპოვა ყოფილიყო მათი უახლოესი მოძმე და საბჭოთა სინამდვილის დიდი მომღერალი. მაიაკოვსკიმ შეინარჩუნა დიდი ტრადიცია რუსული პოეზიისა, ტრადიცია უკეთეს მომავლისათვის ბრძოლისა. მან თავისი ნოვატორული შემოქმედებით ახალ ხარისხში აიყვანა რუსული პოეზია, ის როგორც მოწინავე შვილი ოქტომბრის რევოლუციის მთავარი შემომქმედი რუსი ხალხისა, დიდი ინტერნაციონალური გრძნობით იყო გამსჭვალული და უდიდესი სიყვარული გამოამჟღავნა საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ხალხისადმი.

მაიაკოვსკის მაინც განსაკუთრებული სიყვარული და ინტიმობა აერთებდა საქართველოსთან და ქართველი ხალხის ცხოვრებასთან.

ცნობილია, რომ ყოველი პოეტის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბავშვობის მოგონებას და ბავშვობაში მიღებულ შთაბეჭდილებებს. ბავშვობის თემა პოეტისათვის ისევე სახალისოა, როგორც ბავშვებისათვის პირველი თოვლის დანახვა. პუშკინმა, ლერმონტოვმა, აკაკი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძემ და სიტყვის სხვა დიდმა ოსტატებმა არა ერთი და ორი შედევრი უძღვნეს ამ თემას. ბავშვობის მოგონებები ხშირად დიდ როლს ასრულებდნენ პოეტის შემოქმედების ფორმაციაში.

ვლ. მაიაკოვსკისათვისაც დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ბავშვობის მოგონებებს და იმ პირველ სურათებს, რომლებიც მის მეხსიერებას მკაფიოდ შერჩა ბაღდადსა და ქუთაისში გატარებული ცხოვრების წლებიდან. ეს მოგონებები ლაკონიურად და დიდი სიყვარულით დაგვიტოვა პოეტმა თავის ავტობიოგრაფიულ წერილში, პოემა „ლიუბლიუ“-ში და სხვ. მან თავის თავი დამნაშავედ ჩასთვალა, რომ ბაღდადის მოწმენდილ ცას ჯერ ვერ უთხრა თავისი პოეტური სიტყვა და არ გააცოცხლა პირველი შთაბეჭდილებანი ბავშვობისა. მაგრამ მთავარი და წარუშლელი შთაბეჭდილება პოეტს მიუღია ბავშვობისას, როცა უნახავს ბაღდადსა და ქუთაისში ქართველი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის: **„Прокламации вешали грузины. Грузинов вешали казаки. Мои товарищи грузины“**, სწერდა პოეტი, და მთელი თავი ავტობიოგრაფიისა მაიაკოვსკის მიძღვნილი აქვს 1905 წლის რევოლუციის და რეაქციის ხანისათვის. ეს წლები პოეტისათვის უნდა ყოფილიყო მისი პირველი რევოლუციური ინსტიქტების ჩასახვისა და გამომჟღავნების ხანა. ამიტომაც ამ ხანამ პოეტის მეხსიერებასა და შეგნებას წარუშლელი დაღი დაასვა, ე. ი. ეს იყო პირველი შთაბეჭდილებები, საზოგადოებრივ ცხოვრებიდან მიღებული. ეს პირველად დანახული ცხოვრების სურათები გვიხატავდნენ საზოგადოების ბრძოლას უკეთეს მომავლისათვის, და პოეტის ახალგაზრდული თვალი პირველად წააწყდა ხალხის ბრძოლას და მან დიდი მარაგი დაუტოვა პოეტს მომავალ შემოქმედებისათვის.

თუ დიდი პოეტები ხშირად იგონებდნენ თავიანთ კარ-მიდამოს, სოფლისა და ოჯახის იდილიას, სამაგიეროდ მაიაკოვსკის ბავშვობის იდილიაში ქარიშხალივით შეიჭრა 1905 წლის რევოლუცია და მომავალი პოეტის გრძნობები აფორიაქა. მისი ახალგაზრდული ცხოვრების შემეცნებას სათავეშივე დაუკავშირდნენ ბრძოლის სურათები უკეთესი მომავლისათვის. ამიტომ ბევრი პოეტის ბავშვობის მოგონება ცხოვრობს მის ლექსებში , როგორც გაზაფხული თუ შემოდგომა, იავნანის მელოდია თუ მწუხრის ბინდი, და ეს, როგორც შეფარვითი ტექსტი, ხმაურობს მათ პოეზიაში. მაიაკოვსკის ბავშვობის მოგონება ცხოვრობს მის ლექსებში, როგორც ბრძოლა და ბრძოლის ხალისი, როგორც ბავშვობის პირველი განცდა ხალხის ბრძოლისა.

ამგვარად, პოეტის მოგონებები უბრალოდ პირადი ცხოვრების გამომხატველი კი არ არის, რომელიც ბავშვობაში ჩარჩება მეხსიერებას და სიმწიფეში ითქმება ლექსად, — მაიაკოვსკის მოგონებები საზოგადოებრივ დრამასთან არიან დაკავშირებულნი და მისი სულიერი ფორმაციის მთავარი მონაწილენი არიან. ამგვარად, პოეტს 1905 წლის რევოლუციამ მისცა ახალგაზრდობისა და ბრძოლის თემა და ეს, როგორც ფარული მღელვარება, ხმაურობს მის ომამდე დაწერილ ლექსებშიც. ამიტომ ორგანიულია სრულიად, რომ ოქტომბრის რევოლუციას პირველ დღესვე შეუერთდა ვლ. მაიაკოვსკი. ის წამოვიდა 1905 წლის რევოლუციიდან და თავის პოეზიაში ეძახდა ახალ რევოლუციას. 1905 წელმა გადასცა ოქტომბრის რევოლუციას მაიაკოვსკის პოეზია, როგორც პირველად მის მიერ ალესილი იარაღი ბრძოლისა.

ამგვარად, მაიაკოვსკის პოეზია დიდი რევოლუციური ტრადიციის მატარებელია და ამავე თვისებებით უკავშირდება მისი შემოქმედება ქართველი ხალხის რევოლუციურ ბრძოლას და ცხოვრებას. პირველი სიყვარული რევოლუციისა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ქართველი ხალხის საშუალებით იგრძნო. ყოველივე ეს განსაკუთრებულ სიყვარულს ამჟღავნებს მაიაკოვსკისას ქართველი ხალხისადმი, იმ ხალხისადმი, რომელმაც მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში მიაღწია თავის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებას. იმ ხალხისადმი, რომელმაც 1905 წლის რევოლუციაში არა ერთი და ორი გმირი მისცა რევოლუციურ მოძრაობას. საქართველოშიც დიდი და განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს ის დიდი მემკვიდრეობა, რომელიც მაიაკოვსკიმ დაუტოვა საბჭოთა პოეზიას. მართალია, მაიაკოვსკის თარგმნიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე და მისი სალამოები მის სიცოცხლეშიაც დიდი წარმატებით სარგებლობდნენ საქართველოში, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღებით და ინტენსიურობით მაიაკოვსკის თარგმნა დაიწყო უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ინიციატივით გამოიტანა სპეციალური დადგენილება ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედების თარგმნისა და პოპულარიზაციის შესახებ.

როდესაც ვლაპარაკობთ ვლ. მაიაკოვსკის ნაწარმოებთა თარგმნის შესახებ, საჭიროა ორიოდე სიტყვით დავახასიათოთ ის სიძნელეები, რომლებიც ელობებიან ამ ლექსების ქართულად გადათარგმნის საქმეს.

ვლ. მაიაკოვსკი უმთავრესად როგორც თემატიურად, ისე პოეტური მეტყველებით დაკავშირებულია რევოლუციური ქალაქის კულტურასთან. ამიტომ მთარგმნელს დიდი სიძნელე ელობება წინ, მან ქართული ენის ბუნებაში უნდა ეძებოს ადეკვატური გამოთქმები, და ტონალური ლექსით გამოთქმული მოკვეთილი ფრაზები, ნასროლი სტრიქონები ქართული სილაბური ლექსით უნდა გამოსთქვას. ქართული ლექსის ენობრივი ბუნება სრულიად განსხვავდება რუსული ლექსის ენობრივი ბუნებისაგან. ქართულ ლექსს თავისებური მშვენება აქვს, დიდი და გარდაუვალი, მთარგმნელი უნდა ებრძოლოს თავისი ლექსალური კულტურის ინერციას და ახალი, ხშირად პრიმიტიული ფორმები ეძიოს მაიაკოვსკის ქართულად გადმოთარგმნისათვის.

პირადად მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა მთარგმნელებმა ამ შემთხვევაში მეტად უნდა ისარგებლონ არა ლიტერატურული ტრადიციით, არამედ დიდი ქართული ხალხური პოეზიის ტრადიციებით. ხალხური პოეზიით დიდად სარგებლობდა თავის დროზე აკაკი წერეთელი თავის მახვილ და მოკვეთილ ლექსებში. ვლ. მაიაკოვსკი და აკაკი წერეთელი თავიანთი ყოველდღიურობის თემების გატაცებით და რევოლუციური პათოსით ძალიან ენათესავებიან ერთმანეთს. აკაკი წერეთელი სიტყვიერ მასალას ხალხის წიაღიდან იღებდა და ცალკეულ პოეტურ ფრაზებს აგებდა ხალხური პოეზიის მონათესავე თვისებების მიხედვით.

თვით მაიაკოვსკიმ საკმაოდ იცოდა ქართული ხალხური პოეზია და ძალიან უყვარდა იგი: ზეპირად იცოდა ბევრი ხალხური შაირი. კერძო ლაპარაკში მან განაცხადა: მე ძალიან მეინტერესება ისეთი ქართველი პოეტი, რომელსაც თავის პოეზიაში ამ ხალხური ნაწყვეტების ტრადიცია ექნებაო. მან ეს აზრი კიდეც გამოსთქვა ერთ თავის ლექსში. არის ქართველ პოეტებში შეხედულება, რომ მაიაკოვსკის შესანიშნავი ლექსის „მზე“-ს იდეა პოეტისათვის უნდა მიეცა ცნობილ ქართულ ხალხურ ლექსს „მზევ, შინ შემოდიო“. რასაკვირველია, არც იდეით, არც სახეების განფენით, არც კომპოზიციით „მზევ, შინ შემოდი“ არა ჰგავს მაიაკოვსკის „მზე“-ს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ პოეტურ დაფიქრებაში ამ ლექსმა მისცა მაიაკოვსკის ერთგვარი იმპულსი. ეს ლექსი მაიაკოვსკის უნდა სცოდნოდა, რადგან ის საქართველოში იმღერება ყოველ კუთხეში და უმღერიან უმთავრესად ბავშვებს. ამასთანავე მაიაკოვსკიმ ზეპირად იცოდა ხალხური ლექსი „არსენა ჯორჯიაშვილზე“ და ხშირად ამბობდა მას.

ყოველივე ეს მე გავიხსენე იმისათვის, რათა მეთქვა, რომ ჩვენი ხალხური პოეზიის ცალკეული მიღწევები ყრუდ მაინც ხმაურობდნენ მაიაკოვსკის ლექსებში. ყოველივე ეს ერთგვარ გასაღებს გვაძლევს მაიაკოვსკის პოეზიის ზოგიერთი თვისებისას. ნიკ. ასეევიც აღნიშნავდა მაიაკოვსკის ლექსის წყობაზე ქართული ენის გავლენას. ეს ქართული ხალხური შაირები და ქართული ხალხური რევოლუციური სიმღერები შეფარვით ხმაურობენ მაიაკოვსკის ლექსებსა და პოემებში.

მაიაკოვსკის ლექსები მე წარმომიდგება, როგორც მწვერვალები. ჩემი შთაბეჭდილებით, ისინი ვერტიკალური სიმაღლით ვითარდებიან, ე. ი. ისინი, როგორც გოტიური ნაგებობანი, ილტვიან მაღლა და მათი გარეგნული ფორმა მწვერვალისებურია. ამ შემთხვევაში, თუ კავკასიის პეიზაჟი არ არის გამოხატული ამ ლექსებში, მათში არის საქართველოს მწვერვალებისებური ლტოლვა მაღლა. ამ სტრიქონების ავტორს ხშირად მოუსმენია ვლ. მაიაკოვსკი და უნდა ვაღიარო, რომ იშვიათად მინახავს ისეთი ჰარმონიული ადამიანი, როგორიც ის იყო. მისი ლექსები მისი წაკითხვის შემდეგ განსაკუთრებით გასაგები და საინტერესო ხდებოდა. თვით პოეტიც ასე ფიქრობდა. იგი ამბობდა: ლექსის კარგი წაკითხვა პოეტის ხარისხის მაჩვენებელიაო. ამიტომაც პოეტი განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდა რადიოს, რომლის შემწეობითაც მას შეეძლო მილიონებისათვის წაეკითხა თავისი ლექსი და თავისი ინტერპრეტაცია გაეცნო ხალხისათვის. ყოველსავე ამას იმისათვის ვამბობ, რომ ჩვენ იშვიათად გვინახავს პოეტი, რომელსაც ასე ორგანიულად ჰქონოდეს დაკავშირებული პოეტური სახეების განფენა, პოეტური ფრაზის ინტონაცია და მთლიანი რიტმი თავის ფიზიკურ ხმასთან. დიდი პათოსი რევოლუციისა, რომელიც მაიაკოვსკის პოეზიაში მოისმის, მხოლოდ მისი ხმით შეიძლებოდა აწეულიყო. მისი პოეტური პოლიფონია გამომდინარეობდა მისი ხმის შესაძლებლობიდან. პოეტური ინტონაცია მაიაკოვსკისა სრულიად განთავისუფლებული იყო რომანსულ სიმღერებისაგან და დამყარებული იყო მოულოდნელად რთული ხმის შენაცვლებაზე, ნამდვილ ვაჟკაცურ რიტმზე. მას ფერადები არ უყვარდა პოეზიაში, მაგრამ საკვირველი გრაფიული მოხაზვა იცოდა სახეებისა და ჰქონდა რთული პოეტური მუსიკა. მისი ლირიული ლექსები დაშორებულია სიმბოლისტების რაფინირებულ გრძნობებს, მაგრამ ისინი გვაგონებენ ძველი ტრაგედიების მონოლოგებს. ამიტომ მისი პოეტური ხმა გაშლილ სივრცეს ეძებს და დახურულ კედლებში ვერ ეტევა.

„გიორგი სააკაძე“ რუსთაველის თეატრში

ისტორიული დრამა სანდრო შანშიაშვილისა

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ი. ახვლედიანი

დასავლეთ უკრაინული ლიტერატურა

[illegible]

[illegible]

იანკა კუპალას იუბილე

[illegible]

ნეზამი განჯელისადმი მიძღვნილი საღამო

[illegible]

საბჭოთა დრამატურგიის აქტუალური საკითხები

[illegible]

ალიო მაშაშვილის შემოქმედების საღამო

[illegible]

ოქრო

(დასასრული)

[illegible]

ერთი სადაო საკითხის გამო იოვანე ბატონიშვილის ბიოგრაფიიდან

პროფ. ალ. ბარამიძე

[illegible] (Reisen durch Russland und im Caucasischen Geburge, I. St.—Petersburg, 1787, 337). [illegible]

[illegible] (Inscription tumulaires géorgiennes de Moscou et de saint-Pétersbourg) [illegible]

[illegible] „Царевич грузинский, сын последнего грузинского Царя Георгия XIII, родился в Тифлисе в 1766 г., скончался в Петербурге 15 февраля 1830 года. ...... [illegible] ...... от внучат".

[illegible] (Известия о грузинских Царевичах) [illegible]

[illegible]

Материалы для новой истории Кавказа, II, 500, пр. 1.

Memoire de l'académie des sciences, VI s, t. IV 1840, p. 510.

[illegible] Хаханов – „Очерки", III, 341; [illegible]

ახალი წიგნები

„მოგზაურობა ევროპაში"

[illegible]

„ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე"

[illegible]

სიმონ ჩიქოვანის ლექსები უკრაინულად

[illegible]

„სიკვდილი და ქალიშვილი"

[illegible]

რევაზ მარგიანის ლექსები

[illegible]

მაქსიმ რილსკის 30 წლის იუბილე

[illegible]

ლიტერატურული საღამო მილიციის კლუბში

[illegible]

იოსებ დავითაშვილისა და ბარბარე ჯორჯაძის ნეშტის გადასვენება

[illegible]

ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრება

პოეტებთან შეხვედრა ს. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტში

[illegible]

ალიო მაშაშვილის საღამო

[illegible]

პასუხისმგებელი რედაქტორი შალვა რადიანი

რედაქციის მისამართი: [illegible] ქუჩა № 18, ([illegible]) ტელეფონი 8—47—10.
მთავლიტის რწმუნებული 188
[illegible] სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.
მთავლიტის რწმუნებული 1491